

შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

წმინდა მიწის ქართული წარწერები

წმინდა მიწის ქართული წარწერები მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა იქ არსებული ქართული მონასტრებისა და ქართველ პილიგრიმთა მოღვაწეობის შესასწავლად. ქართულ საზოგადოებაში ამ წარწერებისადმი ინტერესი გვიანი შუა საუკუნეების მიწურულს გაღვივდა, მაშინ როცა საქართველოს პალესტინის თითქმის ყველა მონასტერი უკვე დაკარგული ჰქონდა.

1757-58 წწ-ში წმ. მიწაზე იმოგზაურა მთავარეპისკოპოსმა ტიმოთემ (გაბაშვილმა), ქართველთაგან პირველმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია ქართულ ეკლესიამონასტრებში დაცულ წარწერებს. XVIII ს-ის დამლევს წარწერებს ეცნობოდა ოკრიბელი ბერი ლავრენტიც. XIX ს-ის განმავლობაში არაერთმა ქართველმა ინახულა წმ. მიწა. აქაურ ქართულ წარწერებს გაკვრით ეხება თავის დღიურში (1819-1820) გიორგი ავალიშვილი; საგანგებოდ სწავლობენ მათ ნიკო ჩუბინაშვილი (1845), ალექსანდრე ცაგარელი (1883), პეტრე კონჭოშვილი (1899). XX ს-ში, როცა საბჭოთა საქართველოდან პალესტინაში გამგზავრება თითქმის შეუძლებელი გახდა, წმინდა მიწის ქართულ ეპიგრაფიკას იკვლევენ ემიგრაციაში მყოფი ქართველი მეცნიერებიც (გ. ფერაძე, მ. თარხნიშვილი, ვ. ჯობაძე) და ევროპელებიც (ვირჯილიო კორბო), მაგრამ ამ საკითხს შეჭხებიან საქართველოში მოღვაწე პირებიც (გ. წერეთელი, ვ. ჩაჩანიძე, გ. მიქაძე, დ. ლომიძე, გ. გაგოშიძე, ზ. სხირტლაძე, ზ. ალექსიძე, ე. მამისთვალაშვილი). გარკვეული ადგილი უჭირავს ეპიგრაფიკულ ძეგლებს ე. მეტრეველის წმინდა მიწისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში.

ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის დროიდან მოკიდებული დღემდე წმ. მიწაზე მრავალი ქართული წარწერა განადგურდა. ქართველ მკვლევართა ყოველ მომდევნო თაობას წინამორბედებთან შედარებით

ნაკლები ქართული წარწერა ხვდებოდა ადგილზე. ეს სამწუხარო ტენდენცია დღესაც გრძელდება, ამდენად, ჩვენს ექსპედიციას სრულიად განსაკუთრებული და განსაზღვრული მიზნები გააჩნდა. ჩვენ უნდა დაგვეფიქსირებინა ყოველი ქართული წარწერა, განურჩევლად იმისა, საქტიტორო იქნებოდა იგი თუ განმარტებითი ხასიათისა. წარწერებს აღვწესხავდით იმ მეთოდით, რომელიც წარწერების კორპუსების პუბლიკაციისთვის არის მიღებული, ე.ი. ყოველ წარწერას ვიდებდით როგორც ფოტოფირზე, ასევე გამჭვირვალე ცელოფანზე და ზუსტად ვაფიქსირებდით წარწერების ადგილმდებარეობას.

სამუშაოს დაწყებისთანავე აშკარა გახდა, რომ დაღუპულია მრავალი წარწერა, რომლებიც ტ. გაბაშვილს, ალ. ცაგარელს და სხვებს ჰქონდათ წაკითხული. ადგილზე ვერ ვნახეთ და, როგორც ჩანს, აღარც არსებობს წმ. ბასილის, წმ. თევდორეს, წმ. დიმიტრის, წმ. იოანე ნათლისმცემლის (მდ. იორდანესთან) მონასტრების წარწერები; ვეღარ ვიპოვნეთ წმ. თეკლას მონასტრის XV ს-ის წარწერა, სადაც ჯვარის მამა ქაიხოსრო ზედგინიძის მიერ მონასტრის ზღუდისა და სენაკების მშენებლობაზეა საუბარი და რომელიც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ჯერ კიდევ ამშვენებდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ერთ-ერთი შენობის კუთხეს (გ. მიქაძე). ამ მხრივ ყველაზე დიდი "ზარალი" წმ. ჯვრის მონასტერმა განიცადა, საიდანაც უამრავი წარწერა თუ ქტიტოროთა გამოსახულებაა დაკარგული.

მიუხედავად ამისა, ექსპედიციის შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა: წაკითხული, ფოტოგრაფირებული და ცელოფანზე გადმოღებულია ოთხმოცდაათამდე წარწერა, რომელთაგანაც ორმოცამდე ახლად აღმოჩენილი. ჩვენს მიერ აღწესხულ წარწერათა



1. ბეთლემი. შობის ტაძარი. თევდორეს წარწერა. (ფოტო დ. ცხადაძის)

უმეტესობა პილიგრიმული მინაწერია, თუმცა ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, წარწერების ნაწილი კი ოფიციალური, საეკლესიო ხასიათისაა; გამოვლინდა აქამდე უცნობი საეკლესიო ნაქარგობის ნიმუშებიც, რომელთაც საეკლესიო წარწერები გააჩნიათ.

წარწერათა აბსოლუტური უმრავლესობა იერუსალიმშია, რამდენიმე მათგანი კი ბეთლემში, ნაზარეთსა და წმ. საბა განწმედილის მონასტერშია დაცული (თუმცა არ დადასტურდა უკანასკნელის გუმბათზე ა. ცაგარლის მიერ მითითებული ქართული წარწერები).

ბეთლემის შობის ტაძრის ადრეული შუა საუკუნეების სვეტებზე ქართველ პილიგრიმთა ბევრი მინაწერი აღმოჩნდა. აღსანიშნავია XI ს-ის ნუსხასუცურიდან მხედრულზე გარდამავალი ხელით შესრულებული ვინმე თევდორეს (ილ. 1) და ნუსხურით დაწერილი გიორგის გრაფიტები. მოხერხდა მინაწერებში დამოწმებული ზოგიერთი პირის იდენტიფიცირება. ასე, მაგალითად, ბეთლემის შობის ეკლესიის ერთ-ერთ სვეტზე აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის მაქსიმე I მაჭუტაძის (1639-1657 წწ.) შავი მელნით შესრულებული მხედრული ფაქსიმილე: "ღმერთო მოიხსენიე კათალიკოსი მაქსიმე" (ილ. 2). მაქსიმე კათალიკოსმა



2. ბეთლემი. შობის ტაძარი. კათალიკოს მაქსიმეს წარწერა. (ფოტო დ. ცხადაძის)

სამჯერ იმოგზაურა იერუსალიმში და დიდი შეწირულობა გაიღო იქური ქართული მონასტრებისათვის, 1657 წელს კი იქვე გარდაიცვალა (ტ. გაბაშვილი). ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ღირსი მაქსიმეს ფრესკული გამოსახულება წმ. ჯვრის მონასტრის კედელზე საეკლესიო რიგში იყო ჩართული.

ამავე ეკლესიის სამხრეთი სვეტნარის აღმოსავლეთიდან პირველი სვეტის (რომელიც ახლა ეკლესიის ტრანსეპტისა და სამნავიანი სივრცის გამყოფი გვიანდელი კედლის სისქეშია ჩართული) დასავლეთ მონაკვეთზე ამოკაწრულია XIV-XVII სს-ის რამდენიმე ქართული გრაფიტი (ილ. 3); წარწერებში მოხსენიებულია ვინმე იოაკიმ ქართლელი, შიო, ნიკოლოზ გძელი და



3. ბეთლემი. შობის ტაძარი. სვეტი ქართული წარწერებით. (ფოტო დ. ცხადაძის)

სხვ. როგორც ჩანს, ეს სვეტი ქართველებს გამორჩევით მოსწონდათ, მინაწერები ერთმანეთზეა გადასული და ზოგიერთი მათგანი გვიანდელი კედლის სისქითაა დაფარული. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება უცხოელ პილიგრიმთა ცნობა, რომლის თანახმად XIV ს-ში ქართველებს შობის ტაძარში, მღვმის გარეთ თავისი საკურთხეველი ჰქონიათ (გრ. ფერაძე). ამ ცნობას ტიმოთე გაბაშვილიც ადასტურებს და, შესაძლოა, ქართველთა საკურთხეველი სწორედ ამ სვეტის აღმოსავლეთით, სადმე მახლობლად იდგა.

ზოგიერთი პილიგრიმის სახელი წმ. მიწის სხვადასხვა ტაძრის კედლებზეა შემორჩენილი. ასე მაგ., ბეთლემის შობის



4. იერუსალიმი. ქრისტეს საფლავი. სოფრონის წარწერა (ფოტო დ. ცხადაძის)

მუდმივ რემონტებს უნდა მივაწეროთ: უფლის საფლავზე 1808 წელს მომხდარ ხანძარს შეეწირა გოლგოთის საპატრიარქო საყდარი ვრცელი ქართული წარწერით; ამავე ხანძარში დაინთქა ტაძარში შესასვლელი კარიც, რომელზეც, ლავრენტი ოკრიბელის ცნობით, გიორგი მეფის წარწერა იყო და სხვ. (ნ. მარი). 1990 წელს იერუსალიმში ყოფნისას ქრისტეს საფლავის კარიბჭის სვეტებზე 15 წარწერა შევნიშნე, უკანასკნელი ექსპედიციის განმავლობაში კი კიდევ რამდენიმე გრაფიტი აღმოჩნდა. ცნობილია, რომ უფლის საფლავის ტაძარი XII ს-ში ჯვაროსნების მიერ საფუძვლიანად გადაკეთდა. ამ დროისაა ეკლესიის ერთადერთი მხატვრულად გააზრებული სამხრეთი ფასადიც, რომელიც ნ. კონდაკოვის მართებული განსაზღვრით, ადრეგუთური ხანის ხუროთმოძღვრების



5. იერუსალიმი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. საბა ყოფილი სოფრონის წარწერა (ფოტო დ. ცხადაძის)

ეკლესიაში დამოწმებული სახელი – "ნიკოლოზ გძელი" გვხვდება უფლის საფლავის ეკლესიის კარიბჭის ერთ-ერთ სვეტზეც. აღსანიშნავია, რომ ქართველ მლოცველთა მინაწერები წმ. საფლავის მხოლოდ კარიბჭის სვეტებზეა შემორჩენილი, ტაძრის შიდა კედლებზე კი ვერც ერთი ქართული წარწერა ვერ აღმოვაჩინეთ, რაც, ვგონებ, ინტერიერის

ნიმუშს წარმოადგენს. ევროპელ ოსტატებს, როგორც ჩანს, ძველი ეკლესიის მარმარილოს სვეტებით ახლად აგებული ეკლესიის კარი გაუფორმებიათ. მინაწერთა არსებობა მხოლოდ კარის მახლობელ სვეტებზე კი მიუთითებს, რომ ისინი შესრულებულია მას შემდეგ, რაც სვეტები კარის შემამკობელ ელემენტებად იქცა, ე.ი. არა უადრეს XII ს-ისა, რასაც წარწერათა პალეოგრაფიული ნიშნებიც ეთანხმება. ამ ქართულ მინაწერთა უმეტესობა XIV-XVII სს-ს განეკუთვნება, წყაროების ცნობით კი ქართველები სწორედ ამ პერიოდში მრავალ წმინდა ადგილს ფლობდნენ უფლის საფლავის ეკლესიაში (იხ. გრ. ფერაძის, ე. მეტრეველის შრომები).

შესაძლებელია, ამ მინაწერებში დამოწმებული ზოგიერთი პირის იდენტიფიცირება. მაგ., კარიბჭის აღმოსავლეთ წირთხლზე,



6. იერუსალიმი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. აფხაზთა დედოფლის – ელენე ყოფილი ელისაბედის წარწერა. (ფოტო დ. ცხადაძის).

მიწიდან სამი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: "საფლავო ქრისტესაო, შეიწყალე სოფრონ" (ილ. 4). იერუსალიმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთ ფასადზეც, მიწიდან დაახლოებით იმავე სიმაღლეზეა დაცული "ცოდვილი საბა ყოფილი სოფრონის" გრაფიტი (ილ. 5). "საბა ყოფილი სოფრონი" XV-XVI ს-ის მიჯნაზე იერუსალიმში მოღვაწე ცნობილი წიგნების "შემმოსველი" და "შემკაზმველი" იყო: მისი მინაწერები მსგავსი ფორმულირებით დაცულია Jer.N119 და Jer.N77 ხელნაწერებში და ორივეგან იგი მოიხსენიება ასე: "ცოდვილი საბა ყოფილი სოფრონი" (Jer.N77-ის მინაწერი დღეს დაკარგულია, იხ. მ. კარანაძე).

საინტერესოა ქრისტეს საფლავის ეკლესიის კარიბჭის ერთ-ერთ სვეტზე მოხსე-



7. იერუსალიმი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. კახთა დედოფლის – ელენე ყოფილი, ელისაბედის აღდგენილი წარწერა. (ფოტო დ. ცხადაძის).

ნიებული პირის "თომ[ა] ყ[ო]ფ[ი]ლი ი[ო]ვ[ა]კ[ი]მე" -ს იდენტიფიცირების ცდა. ტიმოთეს ცნობით, კახთა მეფე ლევანმა (1520-1574 წწ.) "წარმოავლინა იოაკიმ ჯვარის მამა საფასითა და საფლავი ქრისტესი დაქცეული და გოლგოთა მან აღაშენა". სახელი "გერმანოზი", რომელიც ამავე კარიბჭის მახლობელ სვეტზე ლამაზი ასომთავრულითაა შესრულებული, რამდენჯერმე გვხვდება იერუსალიმური ქართული ხელნაწერების მინაწერებში: Jer.N44 ხელნაწერში მინაწერი შეუსრულებია ვინმე ჯვარის მამა გერმანოზს (XIV ს.) (ე. მეტრეველი), წიგნების ცნობილი მკაზმეველი ყოფილა გერმანე ეზდაველიძე (ნ. მარი) და სხვ.

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, წმ. ნიკოლოზის მონასტერი იერუსალიმის იმ ადგილას მდებარეობს, სადაც ამ წმ. მამის სენაკი ყოფილა და იგი კახთა დედოფალს



8. იერუსალიმი. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთი ფასადი. (ფოტო დ. ცხადაძის).


ელენე ყოფილ, ელისაბედს აუშენებია. ელენე დედოფალი ერეკლე I-ის დედა, დიასამიძის ქალი, გამოჩენილი ქველმოქმედი იყო (გარდაიცვალა 1695 წ.). ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი, რომელზეც ამ დედოფლის წარწერაა ამოკვეთილი, ბერძნული საპატრიარქოს შიდა ეზოში გამოდის (ილ. 6,7). რელიეფური ასომთავრულით შესრულებული ორსტრიქონიანი წარწერა (ზომა: 32X118 სმ) მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე, საპატრიარქოს მუზეუმის შესასვლელის მარჯვენა მხარეს მდებარეობს (ეს მუზეუმი ეკლესიის ქვედა



9. იერუსალიმი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. ნიკოლიმოს კანდელაკის წარწერა. (ფოტო დ. ცხადაძის).

სართულზეა განთავსებული). წარწერის მოზრდილი გრაფემები ერთმანეთშია შეწიადებული; განკვეთილობის ნიშნებად წერტილებია ნახმარი, ქარაგმად კი ბოლო-წერტილოვანი კლაკნილი ხაზი, რომელიც მოჩარჩოებაშია ჩართული: "წ[მიდა]ო ნიკ[ოლო]ზ მ[ეო]ხ ექმ[ენ] წ[ინაშ]ე ქ[რი]ს[ტეს]ა კახთა დედოფ[ა]ლსა ელენე ყ[ო]ფ[ი]ლსა ელისაბ[ედს]" (ეს წარწერა სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი (იხ. გრ. ფერაძისა და ელ. მეტრეველის ნაშრომები). 2002 წლის მარტში იგი ვანდალურად იქნა მომტვრეული, ამავე წლის სექტემბერში მოქანდაკე პაატა გიგაურმა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში არსებულ ძველ ქვაზე – წარწერის ნაადგილეზე ამოკვეთა ამ წარწერის ზუსტი ასლი).

ამ წარწერიდან არ ჩანს, რომ ელენე დედოფალია წმ. ნიკოლოზის მონასტრის მამულებელი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მას გარკვეული თანხა გადაეხადა ეკლესიის შესაკეთებლად. საქმე ისაა, რომ



10. იერუსალიმი. წმ. თეკლას ეკლესია. წარწერა. (ფოტო დ. ცხადაძის).

ეს მონასტერი XVII ს-მდეც არსებობდა და მას ქართველები ფლობდნენ, რაზეც ნათლად მეტყველებს ეკლესიის დასავლეთის ფასადი, რომელზეც მრავალი ქართული პილიგრიმული წარწერაა ამოკვეთილი. მინაწერთა უმეტესობა XV-XVII სს-ს განეკუთვნება. ძველად ეკლესიას (XVII ს-მდე მაინც), როგორც ჩანს, დასავლეთიდან გააჩნდა ღია, თაღოვანი სტოა, რომელიც მონასტრის ახლანდელ მფლობელებს (ბერძნებს) ამოუშენებიათ (ილ. 8). ამაზე მეტყველებს ქართული წარწერების განთავსება მხოლოდ სტოის ძველ კედლებსა და თაღების ზედაპირზე. ეკლესიის ამ ფასადზე არსებულ



11. იერუსალიმი. წმ. ჯვრის მონასტერი. შობასშივილი შალვას წარწერა. (ფოტო გ. გავოშიძის).

წარწერებში მოხსენიებული რამდენიმე პირი წმ. ჯვრის მონასტრის სვინაქსარის ალაპებშიც მოიხსენიება. ასეთი არიან, მაგ. ვარძელი მაცა და მისი ცოლი ანუსია, რომლებსაც დიდი სააღმშენებლო საქმეები უწარმოებიათ წმ. მიწაზე, თავდირიძე ფრმ (ალაპში მოხსენიებულია ფოცხვერად) და მისი მეუღლე ეკატერინე (ე. მეტრეველი). ქართული ონომასტიკონისთვის საინტერესოა მეტსახელი ქავეინარი, რომლისგანაც, შესაძლებელია, წარმოიქმნა გვარი ქავეარაძე და სხვ.

ინფორმატულია წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ამავე კედელზე არსებული XVI-XVII სს-ის ასომთავრულით შედგენილი ხუთსტრიქონიანი მინაწერი: "აწყურისა ღმრთისმშობლისა კანდელაკსა ნასიქსა ნიკოდიმოს შ[ეუნდვ]ნ[ეს] ღმერთმა[ნ] და მ[ი]სთა დედ-მ[ა]მ[ა]თა შ[ეუნდვ]ნ[ეს] ღმერთმა[ნ]". ნიკოდიმოსის გვარი "ნასიქე", შესაძლებელია, გაიხსნას ან ნაუასიქედ (იხ. ვ. სილოგავა, კუმურდოს ტაძრის ეპიგრაფიკა), ანდა, რაც უფრო მართებული მგონია, ნასიქედ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარწერაში ამ სიტყვას ქარაგმის ნიშანი არ აზის (ილ. 9). აწყურის ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი XVI ს-ის მეორე ნახევრიდან უკვე გელათშია დასვენებული და მისი მოჭედილობა იმერეთის მეფე გიორგი II (1565-1583 წწ) დროსაა შესრულებული (1578-1583წწ.) (თ. საყვარელიძე). როგორც ჩანს, კანდელაკ ნიკოდიმოსს XVI ს-ის მიწურულს ან XVII ს-ში იერუსალიმში მოუხდა ჩასვლა: ჯვრის მონასტრის ალაპებში დაცულია ცნობა ნიკოდიმე კანდელაკის შესახებ, რომელსაც მათესა და ანტონთან ერთად ჯვრის მონასტრისთვის შეუწირავს ამბროსაული ვენახის ზედა ვენახი (ალაპის ჩანაწერს ემეტრეველი პალეოგრაფიულად XVI ს-ით ათარიღებს).

წმ. თეკლას ეკლესიის მახლობლად, ბერძნული საპატრიარქოს ტერიტორიაზე, ერთ-ერთი სენაკის სარკმელთან, მიწიდან სამი მეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა კედელში თავდაყირად ჩადგმული წარწერიანი ქვა (52X25სმ) (ილ. 10), რომლის ფიგურული მოჩარჩოება ჰგავს წმ. თეკლას მონასტრის ქაიხოსრო ზედგინიძისეულ, დღეს უკვე დაკარგული წარწერის ჩარჩოს (გ. მიქაძე). წმ. თეკლას მონასტრის ახლად აღმოჩენილი წარწერიდან ვიგებთ, რომ რომელიღაც



12. იერუსალიმი. წმ. ჯვრის მონასტერი. წარწერა გუმბათის მშენებლობის შესახებ. (ფოტო დ. ცხადაძის).

ზედგინიძეს ქაიხოსროსა და თავისი მშობლების სულის შესანდობლად აუშენებია რვა სახლი და ოცდარვა კამარა. წარწერაში დამოწმებული "ოცდარვა კამარა", ჩემი აზრით, ქულბაქების მაგვარ ღია სავაჭრო შენობას უნდა ნიშნავდეს, დღევანდელი იერუსალიმის ქუჩებში ხომ მრავლადაა შემორჩენილი კედლების გასწვრივ ამოშენებული თაღები. ეს წარწერა პალეოგრაფიულად XV-XVI სს-ს განეკუთვნება და ნათლად ასახავს გვიან შუა საუკუნეებში იერუსალიმის ცენტრში ქართველთა მიერ წარმოებული სამუშაოს მასშტაბებს. XVII ს-ის პირველ ნახევარში მსგავსი სამუშაო ჩატარებია ქაიხოსრო წულუკიძესაც: ჯვრის მონასტრის ალაპებში დაცული ცნობის თანახმად, მან ქრისტეს საფლავთან ააშენა წმ. ნიკოლოზის საყდარი "სამოცი სახლით, ქვითკირით კამარაშეკრულითა". ამის გამო ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა მისი პორტრეტი დაახატვინა წმ. ჯვრის მონასტრის ეკლესიაში (ე. მეტრეველი). წმ. ჯვრისავე მონასტერში ნართექსის მიმდებარე კედელში ჩადგმულია ფილა წარწერით, რომელშიც



13. იერუსალიმი. წმ. ჯვრის მონასტერი. დრანდელი მთავარეპისკოპოსის წარწერა (ფოტო დ. ცხადაძის).

"ამა კამარათა აღმაშენებელი შობას შვილი შალვა" არის მოხსენიებული (ა. ცაგარელი) (ილ. 11). ტერმინი "კამარაშეკრული" კარგად ასახავს ჩვენთვის ნაცნობ ჯვრულ კამარას, რითაც გადახურულია იერუსალიმის ეკლესიებისა თუ ძველი სახლების უმეტესობა.

ექსპედიციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია წმ. ჯვრის მონასტრის ფრესკული წარწერების დიდი ნაწილის სრულფასოვანი ფიქსაცია: ცელოფანზეა გადმოტანილი და ფოტოფირზეა აღბეჭდილი საქტიტორო და ფრესკული კომპოზიციების განმარტებითი წარწერების უმეტესობა. კალკაზე ვერ დავიტანე მხოლოდ ის წარწერები, რომლებიც ეკლესიის კამარებსა და მოხატულობის ზედა რეგისტრშია დაცული, მაგრამ ყველა ეს წარწერა ფოტოფირზეა აღბეჭდილი. მათ შორისაა ნიკიფორე ჩოლოყაშვილისა და



14. იერუსალიმი. წმ. ჯვრის მონასტერი. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის წარწერა. (ფოტო დ. ცხადაძის).

ლევან დადიანის წარწერები, რომლებიც გუმბათის მშენებლობას ეხება (ილ. 12).

ფრესკული წარწერების უმეტესობა ჯვარის-მამა ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების დროინდელია (XVII ს-ის 40-იანი წლები). მათგან პალეოგრაფიულად განსხვავებულია დრანდელი მთავარეპისკოპოსის გაბრიელ პატრიარქისა (ილ. 13) და არსენავრისა თუ არსენიშვილის წარწერები: ეს უკანასკნელნი ერთი ხელით – გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი წვრილი ასომთავრული გრაფემებითაა



15. იერუსალიმი. წმ. ჯვრის მონასტერი. შოთა რუსთაველის წარწერა (ფოტო დ. ცხადაძის)

შესრულებული. მოხსენიებულთაგან მეორე წარწერა შემდგომში თეთრი საღებავით უხეშად განუახლებიათ. განახლებულ ასოთა მოხაზულობა განსხვავებულია და წააგავს ნიკიფორე (ილ. 14) თუ ომან ჩოლოყაშვილების საქტიტორო წარწერების ასონიშნებს. ამ მხრივ საინტერესოა შოთა რუსთაველის პორტრეტთან არსებული განმარტებითი წარწერა, რომელიც თეთრი საღებავით არის შესრულებული (ილ. 15). პალეოგრაფიული ნიშნებით იგი ნიკიფორე ჩოლოყაშვილის წარწერებს უახლოვდება, მაგრამ ამ წარწერის პირველი სტრიქონის ქვეშ მოჩანს უფრო ძველი წარწერის ორი სიტყვა - "ამ[ი]სა და[მხატავსა]", რომელიც ასოთა მოხაზულობით გაბრიელ დრანდელის წარწერის მსგავსია. ცხადია, რომ შოთა რუსთაველის პორტრეტის განმარტებითი წარწერა მხოლოდ განახლებულია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროს, XVII საუკუნის 40-იან წლებში, და იგი (ალბათ, ისევე როგორც თვით პორტრეტიც) უფრო ძველია. ეს დასკვნა სავსებით ეთანხმება კედლის მხატვრობის სპეციალისტთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ჯვრის მონასტრის მოხატულობაში ქრონოლოგიურად განსხვავებული რამდენიმე ფენა განირჩევა.



16. იერუსალიმი. წმ. ჯვრის მონასტერი. ლევან დადიანის წარწერა. (ფოტო დ. ცხადაძის).

ლევან დადიანისა (ილ. 16) და მისი მეუღლის ნესტან დარეჯანის წარწერები (XVII ს-ის 40-იანი წწ.), რომელთაგანაც პირველი სადიაკვნეს, ხოლო მეორე სამკვეთლოს კარის თავზე არსებული ვედრების რიგის ხატების ხის მოჩარჩოების ორნამენტულ დეკორშია ჩართული, ვფიქრობ, გარკვეულწილად ათარიღებენ კიდევ ამ ხატებს XVII ს-ით.

წმ. ჯვრის მონასტერში მუშაობისას ექსპედიციის წევრებმა ეკლესიის ჩრდილოეთით, ქვედა სართულზე, ერთ-ერთი მიტოვებული სენაკის წინ, სამშენებლო ნაგავში მივაგენით მარმარილოს ორი ფილის ფრაგმენტებს, რომლებზეც ქართული ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი (ილ. 17). წარწერის ძლიერმა გადაცვეთილობამ გვაფიქრებინა, რომ ეს ფილები იატაკის მოსაპირკეთებლად იყო განკუთვნილი. როგორც ჩანს, ეს ის ფილებია, რომლებიც, ალ. ცაგარლის ცნობით, ტაძრის მთავარი შესასვლელის ზღურბლში იყო ჩამონტაჟებული. სამ ქვაზე განაწილებული ძლიერ დაზიანებული წარწერა ეკლესიის კარის ზღურბლში დახვედრია 1960 წელს იერუსალიმში ყოფნისას აკ. შანიძეს, გ. წერეთელს და ირ. აბაშიძეს. ამ წარწერის ფოტო, გადაღებული *in situ*, გამოაქვეყნა ებრაელმა მეცნიერმა ჯოშუა პრავერმა 1967 წელს. კარის ზღურბლიდან ეს წარწერა, როგორც ჩანს, XX ს-ის 70-80-იანი წლებში ამოიღეს და გადაადგეს. წარწერა ალ. ცაგარლის დროსაც ცუდად იხილებოდა, რადგანაც მეცნიერი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას არჩევს, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს წარწერა, საკურთხეველში, ტრაპეზის მარცხნივ იატაკში ჩადგმულ წარწერასთან ერთად (ეს უკანასკნელი წარწერა აღარ არსებობს), ტაძრის უძველესი, XI-XVI სს-ის წარწერებია (ა. ცაგარელი). აღნიშნული წარწერიდან ერთი სიტყვა ("მზგეფსს") ამოუკითხავს აკ. შანიძეს.

მარმარილოს სამ მოზრდილ ფილაზე ამოკვეთილი ვრცელი, ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერიდან დღეს მხოლოდ უკიდურესი მარჯვენა ნაწილია შემორჩენილი, ამასთან, წარწერის ზედა ორი სტრიქონი თითქმის მთლიანად გადაცვეთილია ისე, რომ ასოთა მოხაზულობა ძლივსაა მოჩანს; ქვედა სამი სტრიქონი კი იკითხება, მაგრამ გადაბ-



17. იერუსალიმი. წმ. ჯვრის მონასტერი. წარწერა მარმარილოს ფილაზე. (ფოტო დ. ცხადაძის).

მული აზრის გამოტანა ძნელია, როგორც ჩანს, იგი სააღაპე წარწერა უნდა იყოს. მარმარილოს ფილების ეს ორი წარწერიანი ფრაგმენტი წმ. ჯვრის მონასტრის მუზეუმშია გამოფენილი, ეკლესიის ცენტრში (გუმბათის ქვეშ) იატაკიდან ამოღებულ ბრინჯაოს დისკოსთან ერთად, რომელზეც წერია: "შ[ა]ქ[ა]ნო დეგით მტკიცედ და შეურყეველად და მომიხსენ[ეთ] მე ც[ოდვილ]ი ჯ[ვარის] მამა[ე] ნიკ[იფორე]. ქ[ორონი]კ[ონ]სა ტკია, 1643".

წმ. ჯვრის მონასტრის ტაღანების დათვალიერებისას შემთხვევით მოვხვდი ეკლესიის აღმოსავლეთით დახშულ, ბნელ სივრცეში და საშუალება მომეცა გამეჩვენებინა, რომ დიდი ზომის თლილი ქვით ნაგები ეკლესიის საკურთხევლის აფსიდი გარედან სწორკუთხადაა შევრილი. ამგვარი შევრილი აფსიდი გააჩნია წმ. მიწის სხვა



18. იერუსალიმი. კატამონი. წარწერის ფრაგმენტი. (ფოტო დ. ცხადაძის).

ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიებსაც: მწყემსთა ველი, მარემა და სხვ. (იხ. ვ. ცაფერისი, ა. კლონერი). დღეს ეს შევრილი ჯვრის მონასტერში ნაწილობრივ მოგვიანო ხანის სასიმაგრო კედლის სისქეშია შთანთქმული. აშკარად ჩანს, აგრეთვე, რომ აფსიდი სადიაკვნეს გვიან აქვს დამატებული. ორივე ეს გარემოება შემჩნეული აქვს ბერძენ არქეოლოგს ა. იკონომოპულოსს, რომელიც 1969-1971 წლებში გათხრებს ხელმძღვანელობდა წმ. ჯვრის მონასტერში და რომელსაც მიაჩნია, ვფიქრობ, სავესებით მართებულად, რომ წმ. ჯვრის მონასტრის დღევანდელი მთავარი ტაძარი დგას ადრეული შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკის კედლებზე. ამ ბაზილიკას გალავანიც ჰქონია: წმ. ჯვრის მონასტრის ამჟამინდელი გალავნის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების ქვედა რიგებში ალაგ-ალაგ შემორჩენილია წიბოებჩათლილი მოზრდილი კვადრების წყობა, რაც დამახასიათებელია რომაული და ადრეებიზანტიური ხანის პალესტინის ხუროთმოძღვრებისათვის და, რომელიც, ვფიქრობ, პროხორე შავშელის XI ს-ის მშენებლობაზე უფრო ადრეულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის არც ერთი, ჩემთვის ცნობილი გამოქვეყნებული ანაზომი არ არის ზუსტი, ხოლო მთლიანად მონასტერი არავის აუზომია. მონასტრის აზომვა და მისი საფუძვლიანი არქეოლოგიური შესწავლა მომავლის საქმეა.

კატამონის წმ. სვიმეონ მიმრქმელის მონასტერში არსებული წარწერის ფრაგმენტი (ილ. 18), რომელიც საკურთხეველში ტრაპეზის მარცხნივ იატაკში იყო ჩადგმული, აღ. ცაგარელს კი შეუნიშნავს, მაგრამ წარწერის მხოლოდ ცალკეული ასოები გაურჩევია, გრ. ფერაძეს ამ წარწერის სამი ფრაგმენტი აქვს დადასტურებული და ისინი საფლავის ქვის ნაწილები ჰგონია. ეს წარწერები 1859 წელს, მონასტრის რესტავრაციის დროს აღმოჩნდა. დღეს წარწერის სამი ფრაგმენტიდან მხოლოდ ერთია შემორჩენილი და იგი ეკლესიის ინტერიერის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში დევს. წარწერა ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილ მოგრძო ქვის ფრაგმენტზე (59სმ X 32სმ) მოხდენილი, ბოლოწერტილოვანი ასომთავრული წარწერის



19. იერუსალიმი. წმ. აბრაამის მონასტერი. გიორგი აბაშიძის ბილინგვა. (ფოტო დ. ცხადაძის)

სამი სტრიქონია ამოკვეთილი. ასოები დაგრძელებულია და ზოგიერთ ადგილას მომცრო გრაფემებიცაა ნახმარი; ასონიშან "ა"-ს უღელი ტანს მცირედაა დაშორებული; ქარაგმა ბოლოებდაწერტილი და შუაში გადრეკილი ხაზია; განკვეთილობის ნიშნებად ორი წერტილია ნახმარი. საერთო იერით წარწერა XII და არა უგვიანეს XIII ს-ის პირველი ნახევრის ნორმებში ჯდება: „...თ ცხ[ოვე]ლსმე[ო]ფ[ე]ლისა ჯ[უარი]თა [დიდებ]ხ[უ]ლმ[ა]ნ ქ[უ]თათ[ე]ლმ[ა]ნ ქ[რ]ი? [დ]თსა. ჩ[უენ]ისა დი...“. ჯვრის მონასტრის ადაპტებში დამოწმებულია რამდენიმე ქუთათელი: 1. მიქაელ ქუთათელი, რომელიც XIII-XIV ს-ში ცხოვრობდა, 2. ოქროპირ და 3. მახარებელ ქუთათელები, XIV ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწე პირები (ე. მეტრეველი). კატამონის წარწერის "დიდებული ქუთათელი", შესაძლებელია, ქუთაისის ეპისკოპოსია, რომელიც გარკვეულად შეწევნია კატამონის მონასტერს, რაც წარწერაში უნდა ყოფილიყო ფიქსირებული. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბაგრატ III-მ ახლად აშენებულ ბაგრატის ტაძარში "დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთისა და გურიისა...". მაგრამ ეს ცნობა არ დასტურდება "მატიანე ქართლისაჲ"-ში, სადაც ბაგრატის მიერ მხოლოდ ბედიის საეპისკოპოსოს დაარსებაზეა საუბარი. მ.ლორთქიფანიძის ვარაუდით, ქუთაისის საეპისკოპოსო შეიძლება დაარსებულიყო აფხაზთა რომელიმე პირველი მეფის დროს, რასაც შეიძლება არქეოლოგიური მონაპოვარიც – ქუთაისის შიდა ციხეში აღმოჩენილი ძეგლი, VIII ს-ის მეორე ნახევრის ეკლესიის არსებობაც უჭერდეს მხარს. კატამონის წარწერა ქუთაისის საეპისკოპოსოს არსებობის ერთი ადრეული დოკუმენტური დადასტურება უნდა იყოს,

თუკი წარწერის "ქუთათელი" მართლაც ეპისკოპოსს აღნიშნავს.

წმ. აბრაამ მამამთავარის მონასტერი უფლის საფლავის მახლობლად, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, მასში მოსახვედრად წმ. საფლავის კარიბჭის აღმოსავლეთით დიდი შენობის უკიდურეს სამხრეთის შესასვლელში უნდა შევიდეთ; მეორე სართულზე ასული წმ. აბრაამის ეკლესიის სამხრეთის კედლის კართან შემორჩენილ ქართულ-ბერძნულ ბილინგვას შეამჩნევს (ილ. 19). ქართული წარწერა მხედრულითაა შესრულებული და ორ სტრიქონადაა განაწილებული. ეს წარწერა გამოქვეყნებული აქვს აღ. ცაგარელს. წარწერაში მოხსენიებულია გიორგი აბაშიძე იმერელი, რომელმაც 1700 წელს განაახლა "აბრაჰამის მონასტერი". ბერძნული წარწერა ქართულის იდენტურია, რამაც, როგორც ჩანს, ქართული წარწერა იხსნა ხელყოფისაგან. გიორგი აბაშიძესვე გოლგოთისათვის შეუწირავს შესანიშნავი მინიატურებით გამშვენებული "ოქროს ოთხთავი", რომელიც უფლის საფლავის საგანძურშია დაცული.

ექსპედიციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია ნაზარეთისა და ბირ ელ-კატის უადრესი ქართული წარწერების გრაფიკული ფიქსაცია. წარწერების ორივე ჯგუფი ფრანცისკელთა მუზეუმებშია დაცული.

ნაზარეთის გრაფიტებზე ცნობა აკად. წ/კ ზ. ალექსიძემ მოგვაწოდა. ეს მინაწერები ქ. ნაზარეთის ხარების ახალი კათოლიკური ეკლესიის (აშენდა 1969 წ.) ადგილას V ს-ის პირველ ნახევრამდე დანგრეული ეკლესიის შელესილობაზეა შესრულებული. გადმოვიდეთ სამი მინაწერი, რომელთაგან მხოლოდ ერთია შედარებით სრულად



20. ბირ ელ კატი. ანტონი აბაძს მოზაიკური წარწერა (ფოტო დ. ცხადაძის)



21. ბირ ელ კატი. ბაკურისა და გრიორმიზდის მოზაიკური წარწერა (ფოტო დ. ცხადაძის)

შემონახული: "შ[ე]იწყალე ი[ეს]უ ქ[რ]ისტე ..გ". ზ. ალექსიდის აზრით, ამ წარწერის ბოლო დაქარაგმებული სიტყვაა "გიორგი". თუ ეს ასეა, მაშინ საქმე გვაქვს ქართულ სინამდვილეში უადრეს გამოყენებასთან ამ სახელისა, რომელიც შემდგომში საქართველოს თითქმის ეთნონიმად იქცა.

ვირჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილი ბირ ელ კატის მოზაიკური წარწერები იერუსალიმის ფრანცისკელთა მუზეუმშია დაცული (ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია სახელი "ბირ ელ კუთ" ან "ბირ ელ ყუთ", მაგრამ სი-



22. როკფელერის მუზეუმი. სამუელ იბერთა ეპისკოპოსის ბერძნული ეპიტაფია (ფოტო დ. ცხადაძის)

ნამდვილეში ეს ტოპონიმი არაბულად გამოითქმის როგორც "ბირ ელ კატ" და ამიტომ ჩვენც ასე ვხმარობთ). ერთი წარწერა, რომელიც ანტონი აბასა და იოსიას ეკუთვნის და რომელშიც სეფის მოსხმაზეა საუბარი (ილ. 20), გათხრების შედეგად მონასტერში აღმოჩენილ თანმხლებ მასალასთან ერთად მუზეუმის გამოფენაზეა ექსპონირებული. წარწერა, რომელშიც ბაკურ და გრიორმიზდია მოხსენიებული (ილ. 21), მუზეუმის ლაპიდარიუმში ინახება. სამწუხაროდ, ვერსად მივაგენით დანარჩენ ორ წარწერას, რომელთაგან ერთ-ერთში, მეცნიერთა აზრით, პეტრე იბერის საერო სახელი მაროჯანია ფიქსირებული.

იერუსალიმის როკფელერის მუზეუმში საშუალება მოგვეცა ფოტოფირზე აღგვე-



23. იერუსალიმი. წმ. ელენესა და წმ. კონსტანტინეს მონასტერი. ბაგრატიონთა ასულის, თამარის შეკვეთით შეკერილი ბარძიძის პერექელი (ფოტო დ. ცხადაძის)

ბეჭდა და კალკაზე გადმოგვეტანა V-VII ს-ის ბერძნული წარწერა-ეპიტაფია (კატალოგის №34.879), რომელშიც სამუელ იბერთა ეპისკოპოსია მოხსენიებული (ილ. 22).

ამრიგად, წმ. მიწის ქართული წარწერების უმეტესობა გვიანი შუა საუკუნეებით (XV-XVIII სს.) თარიღდება. ეს ფაქტი გაკვირვებას იწვევს: იმ დროის გაჭირვებული და დაქუცმაცებული საქართველო პალესტინაში მაინც ინარჩუნებდა მრავალ მონასტერსა თუ წმ. ადგილს.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში საქართველო მრავალ მონასტერს ფლობდა წმ. მიწაზე და სწორედ



24. ბერძნული საპატრიარქოს მუზეუმი. გულჩინას შეკერილი ენქერი (ფოტო დ. ცხადაძის)

ამ დროსაა აგებული ჯვრის მონასტერიც, ჯერჯერობით თითქმის არ ჩანს ამ ხანის ქართული დამწერლობის ნიმუშები, რისი მიზეზიც ამ ძეგლთა მრავალგზისი რესტავრაცია და განახლება უნდა იყოს.

გაცილებით მეტია შემორჩენილი ადრეული, V-VI ს-ის ქართული წარწერები და ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ისაა, რომ უძველესმა ქართულმა მონასტრებმა პალესტინის სხვა მონასტრთა ბედი გაიზიარეს და ვერ გადაურჩნენ 614 წელს ირანის შაჰის ხოსრო მეორის დამანგრეველ შემოსევას. ამ მონასტრების ნანგრევებმა კი ქართული წარწერები შემოგინახა, რომლებიც ახლა არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩნდება. ქართული მონასტრის აღმოჩენა 2002 წლის სექტემბერში (ისრაელელმა არქეოლოგმა ჯონ ზელიგმანმა იერუსალიმის მახლობლად, დაბა უმ ლეიზონში გათხარა სავანე, რომლის საძვალეში აღმოჩნდა ქართული ასომთავრულით შესრულებული ეპიტაფია: "ესე სამარხოდ იოჰანე ფურტაველ ეპისკოპოსისაჲ, ქართველისაჲ") იმედს იძლევა, რომ წმინდა მიწაზე (ისრაელში) აღმოჩენილი ძველი ქართული წარწერების რიცხვი მომავალში გაიზრდება.

* * *

ქართული კულტურისა და ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წმ. მიწაზე დაცულ ქართულ საეკლესიო ნივთებსა და მათზე არსებულ წარწერებს. სამწუხაროდ, ვერ შევძელით ყოველი მათგანის სრულფასოვანი ფიქსაცია, რაც მომავლის საქმეა. ქვემოთ წარმოვადგენთ მხოლოდ იმ ძეგლების წარწერებს, რომლებიც აქამდე სრულიად უცნობი იყო სამეცნიერო წრეებისათვის:

1. წმ. ელენესა და წმ. კონსტანტინეს მონასტერში დაცული ბარძიმის პერეკელი - ბაგრატოვანთა ასული პატრონი თამარის შეკვეთით შეკერილი, იგი, როგორც ჩანს, ვახტანგ V (შაჰნავაზის) ქალიშვილი და გივი ამილახერის მეუღლე თამარი უნდა იყოს (გარდ. 1694წ.) (ილ. 23).

"ს[ა]მებ[ა]ო და ერთარსებაო, მა[მა]ო, ძეო, და სულო წმინდაო მოიხსენე და შ[ე]იწყალქე ასული ბაგრატოვანთა, პატრონი თამარი, რ[ომ]ელმან შევაკერვინე ბარძიმის პერეკელი ესე, სულისა ჩემისა საოხად და ცოდვათა ჩემთა შესანდობლად"

2. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მუზეუმის ექსპოზიციაში დაცული ენქერი (XVII ს.), რომლის ოლეს გარს შემოსდევს ფსალმუნის ტექსტი (44.3,4): "შეიბ მ[ა]ხვილი შ[ენ]ი წ[ე]ლთა შ[ენ]თა ძლიერო შეენ[ი]ერ[ე]ბითა შე[ნი]თა და სიკ[ე]თითა შ[ენ]ითა და გიძლოდის შ[ენ]."



25. საბა განწმენდილის მონასტერი. ხარების ნაქარგი ხატი. (ფოტო დ. ცხადაძის)



26. საბა განწმენდილის მონასტერი. ენქერი ქართული წარწერით (ფოტო დ. ცხადაძის)

დ[მერთ]ო შ[ეიწყალ]ე ამა ენქერისა შემკ[ე]რ[ა]ვი, ბ[ა]ტ[ო]ნ[ი]ს შვილის გ[ა]მ[ზ]რ[დ]ელი გ[უ]ლჩინა" (ილ. 24) (ამ მუზეუმში დაცულია ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ქართული საეკლესიო ნივთები: მაცხოვრის

XIII ს-ის ხატი მინანქრებით და ქართული წარწერებით, გარდამოსხნა, შეწირული ბატონიშვილების გიორგისა და ასთანდარის მიერ 1505-1525 წწ., ოქრომკედით ნაქარგი ომოფორი, მეფე ვახტანგ V-ის რძლის მარიამის შეწირული 1681 წ. ეს ნივთები თანმხლები წარწერებით ფოტოფორზე გვაქვს ფიქსირებული).

3. წმ. საბა განწმენდილის მონასტერში დაცული ოქრომკედით ნაქარგი "ხარების" ხატი, რომელიც ძველი ომოფორის ორი ტოტის გადაკერებითაა შედგენილი, ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზის ფიგურებს გააჩნიათ განმარტებითი წარწერები (XVI-XVII სს.) (ილ. 25).

4. ამავე მონასტერში დაცული ენქერი ოლეზე ფსალმუნის ტექსტით (44.3,4): "შეიბ მახვილი შენი..." ენქერს შემწირველის სახელი არ ახლავს (XVII ს.) (ილ. 26) (წმ. საბას მონასტერში დაცულია ასევე დომენტი კათალიკოსის სპილენძის საბეჭდავი, იხ. აქვე ი. გაგოშიძის სტატია).